

თპუ
სამართლის ფაკულტეტის საბჭო
სხდომის ოქმი №4



2011 წ.

თბილისი

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფ. კახი ყურაშვილი, პროფ. თამარ ჩიტოშვილი, პროფ. მაკა სალხინაშვილი, პროფ. არჩილ ლორია, პროფ. ლელა ნადიბაიძე, ასოც. პროფესორი დავით გეფერიძე, ასოც. პროფ. თამარ ლალიაშვილი, ასოც. პროფ. მანანა ხვედელიძე, უფრ. მასწ. ნინო ნიჟარაძე, უფრ. მასწ. მაცვალა კახაძე, სტუდენტები ლაშა სალბიშვილი, ნატა რუაძე.

სხდომის თავჯდომარე : პროფესორი კახი ყურაშვილი

სხდომის მდივანი: ეთერ ირემაძე

დღის წესრიგი:

1. სამართლის ფაკულტეტის დებულების განხილვა (მომხ. პროფ. კ. ყურაშვილი);
2. სამართლის ფაკულტეტის სტრატეგია და გამოწვევები (მომხ. პროფ. კ. ყურაშვილი)
3. სამართლის ფაკულტეტის იურიდიული კლინიკის დებულების განხილვა და დამტკიცება (მომხ. პროფ. კ. ყურაშვილი)

1 მოისმინეს:

პროფესორ კახი ყურაშვილიმა ფაკულტეტის საბჭოს წევრებს გააცნო სამართლის ფაკულტეტის დებულების პროექტი, რომელიც შედგება 12 მუხლისგან. ეს მუხლებია: ა)სტატუსი; ბ)მისია; გ) მართვის ორგანოები; დ) ფაკულტეტის საბჭო; ე) დეკანი; ვ) ხარისხის უზრუნველყოფა; ზ) პროგრამული მიმართულებები; თ) იურიდიული კლინიკა; ი) სასწავლო პროცესი; კ) პერსონალი; ლ) სტუდენტი და მ) ფაკულტეტის დებულების მიღების, გაუქმების, მასში ცვლილებებისა და დამატების შეტანის წესი. მომხსენებელმა თითოეული მუხლი განიხილა დეტალურად და აუდიტორიას სთხოვა მოწონების შემთხვევაში მხარი დაუჭირონ მის მიერ წარმოდგენილ ფაკულტეტის დებულების პროექტს (დანართი 1) და დასამტკიცებლად წარუდგინონ თპუ წარმომადგენლობით საბჭოს.

აზრი გამოთქვეს: პროფ. ა. ლორიამ და ასოც. პროფ. დ. გეფერიძემ

სამართლის ფაკულტეტის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად ერთხმად გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნას სამართლის ფაკულტეტის დებულების პროექტი წარმოდგენილი სახით (დანართი 1);
2. დასამტკიცებლად გადაეცეს სამართლის ფაკულტეტის დებულება თპუ წარმომადგენლობით საბჭოს;
3. აღნიშნული გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს თპუ ვებ-გვერდზე;

2 მოისმინეს:

პროფესორ კახი ყურაშვილიმა ფაკულტეტის საბჭოს წევრებს გააცნო თპუ სამართლის ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიული კონცეფცია (2011–2013) დანართი 2-ის სახით.

მომხსენებელმა აუდიტორიას სთხოვა მხარი დაუჭირონ მის მიერ წარმოდგენილ ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების კონცეფციას და დაამტკიცონ მოცემული სახით (დანართი 2). მან განმარტა, რომ ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების კონცეფციის 6 წლიანი პროექტის შემუშავება ვერ მოხდება, ვინაიდან უნივერსიტეტს ავტორიზაცია გააჩნია 2013 წლის დეკემბრამდე. ამასთან, ასევე არ აქვს აზრი ერთლიანი განვითარების გეგმის შემუშავებას ცალკე, ვინაიდან წარმოდგენილი პროექტი 3 წლიანი სამოქმედო გეგმაა და მისი რეალიზაცია ეტაპობრივად უნდა მოხდეს მიმდინარე წლიდან მოყოლებული.

აზრი გამოთქვას: პროფ. ლ. ნადიბაიძემ და ასოც. პროფ. მ. ხვედელიძემ

სამართლის ფაკულტეტის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად ერთხმად გადაწყვიტა:

1. დამტკიცებულ იქნას თჰუ სამართლის ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების კონცეფცია 2011-2013 წწ., წარმოდგენილი სახით (დანართი 2);
2. აღნიშნული გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს თჰუ ვებ-გვერდზე;

3 მოისმინეს:

პროფესორ კახი ყურაშვილის ინფორმაცია, იმის შესახებ, რომ თჰუ სამართლის ფაკულტეტზე ამოქმედდა იურიდიული კლინიკა, რომელიც გამოიყენება სამართალმცოდნეობის საბაკალავრო აკადემიური პროგრამის ფარგლებში კლინიკური (სასწავლო პროფესიული პრაქტიკის) სწავლების პროცესში. კ. ყურაშვილმა აღნიშნა, რომ საჭიროა განისაზღვროს იურიდიული კლინიკის სტატუსი და ფუნქციები. მომხსენებელმა აუდიტორიას წარმოუდგინა სამართლის ფაკულტეტის იურიდიული კლინიკის დებულება დანართი 3-ის სახით და სთხოვა, რომ დაამტკიცონ მოცემული სახით.

აზრი გამოთქვას: პროფ. მ. სალხინაშვილმა და ასოც. პროფ. დ. გეფერიძემ

სამართლის ფაკულტეტის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად ერთხმად გადაწყვიტა:

1. დამტკიცებულ იქნას თჰუ სამართლის ფაკულტეტის იურიდიული კლინიკის დებულება დანართი 3-ის სახით;
2. აღნიშნული გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს თჰუ ვებ-გვერდზე;
3. ეთხოვოს თჰუ რექტორს აღნიშნული გადაწყვეტილების ბრძანებაში ასახვა.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე :

სხდომის მდივანი: ე. იხეშაძე



კ. ყურაშვილი

ე. ირემაძე